№ 7

სამშაბათი, 11 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 7

სამშაბათი, 11 იანვარი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.



## „ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ოთხშაბათს 12 იანვარს ე. ი. ასულის ნიკოლაძის სახლში დანიშნულია

## ბ ა ლ ი

ქუთაისის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის.

ქალთ უნდა გადაიხადონ 1 მან. და კაცთ—2 მან. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

გამგებელი კნ. მარიამ არჩილის ასული წერეთლისა

(3—3)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი პატივის-ცემით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ კანონთა მე-IX ტომის საფუძვლით (გამოც. 1876 წ.) ამ 1894 წლის 20 იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის წესდების შეცვლისა, რათა ეხლანდელ საზოგადო კრებათა მაგიერ შემოღებულ იქმნას არჩევანები იმათი, რომელნიც უნდა დაესწრონ ხოლმე ბანკის კრებას მის სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად. (3—3)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. საფაროვი-აბაშიძისა, მ. მ. ალ.-მესხიშვილისა, ყიფიანისა და ტყუიაველის მონაწილეობით

**ე. ა. ჩერქეზიშვილის**

ს ა ბ ე ნ ე ფ ი ს ო დ

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

## ხაფანგი

დრ. 4 მოქ. და 5 სურ., მეველესი.

II

## ადვოკატთან

ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.

III

დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

დასასრულ გამართული იქნება

**ლ ე კ უ რ ი**

ითამაშებენ მებენეფისე ლ. ჩერქეზიშვილისა და- აწყურელი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა: ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

ტფილისის პოლიცმეისტერი ამით აცხადებს, რომ 23 დეკემბერს ტფილისის სახელმწიფო ბანკის კიბეზედ იპოვნეს 100 მანათი. ფულის დამკარგავს შეუძლიან მოვიდეს საპოლიციო სამმართველოში და მიიღოს თავისი დანაკარგი, ოღონდ-კი წარმოადგინოს საბუთები, რომ ეს ფული სწორედ იმას დაუკარგავს.

(1—1)


## ტფილისი, 11 იანვარს

—

როგორც ადგილობრივს რუსულს, ისე რუსეთის გაზეთებში არა ერთხელ აღუძრავთ ის საგანი, რომ კავკასიის მკვიდრთ იარაღი უნდა აეყაროთ, რადგან მკვლელობათა სიმრავლე იარაღის ტარებას მიეწერებაო. ხანჯალი და ხმალი ხელთ რომ არა ჰქონდეთ, აღარც ვისმე დასჭრიდნენ და აღარც ვისმე მოჰკლავდნენო.

აი ეხლაც პირველ იანვრის გაზ. „Новое Время“-ში დაბეჭდილია ხელ-მოუწერელი კორესპონდენცია ტფილისიდგან ამავე საგნის შესახებ, რომელშიაც იგივე აზრია გატარებული, რომ კავკასიის მცხოვრებელთ იარაღი უნდა აეყაროთ და სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდება, ეს ქვეყანა სამოთხედ გადაიქცევაო.

ამ ფრიად შესანიშნავის და მრავალ კერძოდ განსახილველის საგნის ასე ერთის კალმის მოსმით გადაწყვეტა დიდი შეცდომაა. იარაღის ტარებას კავკასიაში თავისი ისტორიული და სოციალური საბუთი აქვს და ამ საბუთების ასე უარარაოდ, დაუფიქრებლად და გამოუძიებლად ჩაფუჩეჩება უოვლად შეუძლებელია. ამიტომ ვიდრე ვიტყოდეთ რასმე ამ საქმის შესახებ, საჭიროდ ვრაცხთ ნესტარი გავუტაროთ ზემოდ მოხსენებულს კორესპონდენციას და სიმართლის სასწორით ავწონ-დავწონოთ კორესპონდენტის მიერ მოყვანილი საბუთები კავკასიაში იარაღის აყრის შესახებ.

კორესპონდენტს იმის დასამტკიცებლად, რომ იარაღის ტარების მიზეზით კავკასიაში უფრო ხშირია კაცის-კვლა და დაჭრა-დასახიჩრება, ვიდრე საზოგადოდ რუსეთშიო, სასტატისტიკო ცნობები მოჰყავს კავკასიის კალენდარიდგან. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ განჯისა და ერევნის გუბერნიებში კაცის კვლა უფრო ხშირია, ვიდრე რუსეთის გუბერნიებშიო. აი ამ საბუთზედ აფუძნებს ავტორი იმ საჭიროებას, რომ „იარაღი უნდა აეყაროს კავკასიის ყველა მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ა დ მ ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ს ხალხსაო“.

ჯერ ერთი, სასტატისტიკო ცნობები საზოგადოდ იმდენად ნათლად გამორკვეული არ არის, რომ იმით იხელმძღვანელოს ადამიანმა და ამა თუ იმ აზრის მტკიცედ დასადგენ საბუთად გამოიყენოს; მეორე,—თუნდა დავუჯეროთ კიდეც, რომ ერევნისა და განჯის გუბერნიებში, სადაც კორესპონდენციის ავტორისავე სიტყვით, მხოლოდ მაჰმადიანები სცხოვრობენ, ხშირია კაცის-კვლა და უბრალო ბრალიანად იარაღით სისხლის დაღვრა, განა ეს იმისი საბუთი იქნება, რომ „კავკასიის ყველა მშვიდობიანად მცხოვრებელს ხალხს“ იარაღი აეყაროსო? სამართალი იქნება, რომ ქვეყნის ერთის რომელისამე ნაწილის დანაშაული დანარჩენმა გადაიხადოს? კორესპონდენტი თითონვე ამბობს, რომ ავაზაკობა და თულად გავარდნა ხშირია კავკასიაშიო. თუ ასეა, მაშ „მშვიდობიანად მცხოვრებელს ხალხს“, აქეთ-იქით მისვლა-მოსვლას იძულებულს, რაღად უნდა აეყაროს იარაღი და მოესპოს საშუალება თავის დაცვისა და მოგერებისა? ამითი ხომ უფრო დაიჩაგრა ხალხი გათამამებულ თულებისა და ავაზაკებისაგან? აი, კიდეც ამიტომ არის საჭირო, სხვათა შორის, იარაღი „მშვიდობიანად მცხოვრებელ ხალხისათვის“, რომ არა-მშვიდობიანი ავაზაკები მოიგეროს, რადგან აშკარაა, თუ იარაღის აყრაზედ მიდგა საქმე, ავაზაკებსა და თულად გავარდნილებს ხომ ვერ აჰყრიან იარაღს!..

კორესპონდენციის ავტორი სიცრუესაც არ ერიდება თავისის აზრის დასასაბუთებლად და დასამტკიცებლად. იგი სწერს: „ერთხელ იმისი მაგალითიც-კი იყო, რომ მთელს იმერეთს იარაღი აჰყარეს და თვით იმერეთის ქალებიც-კი მადლობელნი იყვნენ მთავრობის ასეთის განკარგულებისა. ქმრებმა და ძმებმა-კი თავი შეურაცხებულად ჩასთვალეს, კავკასიის უმაღლესს მთავრობას მიჰმართეს თხოვნით, ისევე მოგვეცით ნება იარაღის ტარებისაო, და მთავრობამაც შეიწყნარა იმათი თხოვნა, კვლავ დართო ნება იარაღის ტარებისაო“. ეს ამბავი თავიდგან ბოლომდე კორრესპონდენციის ავტორის ფანტაზიაა და სიმართლეს სრულიად მოკლებულია. შეუძლებელია, რომ ასეთს შესანიშნავს ამბავს, მართალი რომ იყოს, ისე ჩაევლოს, რომ აღარავის ახსოვდეს კავკასიაში.

შემდეგ კორესპონდენტს ორი ამბავი მოჰყავს კაცის-კვლისა, კახეთში მომხდარი. ერთი ის არის, რომ აბაშიძემ მასწავლებელი ტეროჰანეზოვი მოჰკლა სიღნაღში და, მეორე, კახეთში თავად ჭავჭავაძეს მიერ აფიცერის მორთულაძის

## ფელეტონი

—

**წერილი ქვაბლიანიდგან**

მცხოვრებლები და მათი გვარ-ტომობა.—სწავლა-განათლება ჩვეულებანი.—აჭარელნი და მესხნი.—გარდმოცემანი.

ქვაბლიანის საპოქაულოში (ახალციხის მაზრაშია) ოთხი სამამასახლისოა: ადიგვნისა, უდისა, ვარხნისა და ვალისა. ამ ოთხს სამამასახლისოში სცხოვრობს 2,200 კომლი. მცხოვრებლები მთლად ქვაბლიანის საპოქაულოსი ქართველის ტომისანი არიან, მხოლოდ ვალის საზოგადოებაში (500 კომლამდე მცოვრებია) 170 კომლამდე სომეხ-კათოლიკეა და 75 კომ. სომეხ-გრიგორიანნი, რომელნიც გრაფ პასკევიჩის დროს 1829 წელს ოსმალოდგან გადმოსახლდნენ. მანამდის-კი აქეთ სომხის ტომის ჭაჭანებაც არ იყო. ქვაბლიანს ეძახიან უფრო ორ სამამასახლისოს—ადიგვნისასა და უდისას. ქვაბლიანს უჭირავს ახალციხის მაზრის დასავლეთი ნაწილი. ადიგვნის საზოგადოებაში 650 კომლია და მცხოვრებლები მთლად ქართველ-მაჰმადიანნი არიან. ამათში თითქმის ყველას ახსოვს, რომ ესენი ქართველთა გვარისანი არიან. თითონვე ამბობენ, „გურჯიდგანა“ ვართო. ქართული ენა-კი დაჰვიწყებიათ და თათრულად ლაპარაკობენ.

მოხუცებულები ამბობენ, რომ ამ 80 წლის წინად ქვაბლიანში სულ ქართულად ლაპარაკობდნენ და ნელ-ნელა დაივიწყეს ქართულიო. ახლა-კი ადიგვნის საზოგადოების დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ზეგანს უწოდებენ, შემდეგ სოფლებში ლაპარაკობენ ქართულად: მოხეში, ჭელაში, ჭეჭლაში, უტყის უბანში, კეხოვანში, ციხის-უბანში, ღორთუბანში, დერსელში და ღალვში. ადიგვნის სამამასახლისოში 27 სოფელია და თითო სოფელში 10—40 კომლამდის მცხოვრებია. უდის საზოგადოებაში ნახევარი მცხოვრებლებისა, 300 კომლამდის, ქართველ - კათოლიკენი არიან და სცხოვრობენ სოფ. უდესა და არალში; ესენი მთლად ქართულად ლაპარაკობენ და ამბობენ, რომ ჩვენ თამარ დედოფლისა და საქართველოს ერთობის დროიდგან ვართ კათოლიკენიო. დანარჩენს 15 სოფელში ქართველ მაჰმადიანნი სცხოვრობენ (უდის სამამასახლისოში 17 სოფელია) და ამათ სრულებით დაჰვიწყებიათ ქართული ენა.

ყველაზედ შესანიშნავი სოფელი ქვაბლიანში უდეა. ძველად უდეს „დიდი მეიდანი“ რქმევია; ვახუშტიც თავის გეოგრაფიაში უდეს დიდ მეიდანს უწოდებს; მცხოვრებლების სიტყვით, უწინ უდე ქალაქი ყოფილა. უდეში ამ ჟამად არის ციხე, ორი ეკკლესია და ხუთიც ნასაყდრევი. ადიგვნის საზოგადოებაში, სოფ. ადიგვენში ორ-კლასიანი საერო სასწავლებელია, სადაც ოც-და-ოთხამდის ბეგებისა და მაჰმადიანთ სასულიერო კაცთა შვილები სწავლობენ რუსულსა და თათრულს. ზოგიერთ მეჩეთთან სამრევლო სკოლებიც არის, სადაც თათრულსა და არაბულს წერა-კითხვას ასწავლიან. სოფ. უდეში არსებობს ერთ-კლასიანი საერო სასწავლებელი, სადაც 70-მდე გლეხთა შვილნი კათოლიკენი სწავლობენ რუსულსა და ქართულს. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ $^3/_4$ შეგირდებისა მარტის პირველიდამ თავს ანებებს სკოლას. სხვაგან, საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეს საერო სასწავლებლებში პატარა ქალებიც სწავლობენ; აქ ასე არ არის. აქაური ხალხი ერიდება ამისთანა საქმეს: გოგოებმა „უჩიტელთან“ როგორ შეიძლება ისწავლონო; „უჩიტელი“ რომ ქალი იყოსო, მაშინ შეიძლებაო. კათოლიკეთა პატარა ქალები მოხუცებულ დედაკაცებთან სწავლობენ ქართულს ლოცვებს და შემდეგ შემოკლებულ და ვრცელს საქრისტიანო მოძღვრებას ხელთ-ნაწერ წიგნითა; ამასთანავე სწავლობენ წერასაც. ამისთანა დედაკაცებს ოსტატებს ეძახიან. როცა ეს ოსტატები ხელთ-ნაწერის კითხვას ასწავლიან ყმაწვილ-ქალებს, მერე ბეჭდურს დააწყებინებენ. დაბეჭდილ წიგნთა შორის უფრო აქვთ ხელში რომში გამოცემული საღმრთო წერილის წიგნი. სასყიდელს ოსტატები შეგირდებისაგან არას იღებენ, ხოლო როცა შეგირდი-ქალები გათხოვდებიან, მეჯვარეები ვალდებულნი არიან „საოსტატო“ გადაიხადონ შვიდის აბაზიდამ ორ მანეთამდის ოსტატის სასარგებლოდ. ეს ჩვეულება ძველებურია და უწინ, თუ არა ვსცდებით, საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული.

საინტერესოა აჭარლების აზრი ქვაბლიანში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანების შესახებ. აჭარელი აქაურს მაჰმადიანს მესხს ეძახის, თავის თავს გურჯი-ოღლის, ე. ი. ქართველიშვილს. საზოგადოდ აჭარლებს აქაური ქარ-

მოკვლისა და, სხვათა შორის, ამითიც ასაბუთებს კავკასიაში იარაღის ტარების აღკრძალვის საჭიროებას, თითქოს რუსეთში, სადაც იარაღს არ ატარებენ, იშვიათი იყოს ხალხის ხოცვის მაგალითი ცულითა და კიდევ,ვინ იცის,რით? ან, ესეც არ იყოს, თითო-ოროლა მაგალითი განა საბუთია იმისი, რომ მთელს ერს მამა-პაპეული ჩვეულება აღეკრძალოს, ჩამოერთვას უფლება იარაღის ტარებისა და საზოგადო კანონი იქმნას დადგენილი?!.

განსაკუთრებით-კი საყურადღებოა დასასრული ამ კორესპონდენციისა, რომელიც ნათლად აღნიშნავს,რას ეძახის მეცნიერი კორესპონდენტი ერის გონებრივად განვითარებასა და განათლების მხრივ წინ წასვლას.

აი ეს ადგილი სიტყვა-სიტყვით:

„იმ დროს, როდესაც კავკასიაში გაცილებით სჯარბობს რუსეთთან შედარებით კაცის კვლა და ავაზაკობა, რუსეთის შიდა გუბერნიებში უფრო მრავალია რთული დანაშაულობანი, მოტყუება და პლუტობაო (мошенничество).

„თუმცა ცოტა უცნაური იქნება ეს დასკვნა, მაგრამ ეს გარემოება-კი კიდევ ერთი საბუთია იმისი, რომ კავკასიის მკვიდრნი გონების განვითარების მხრივ ძალიან დაბლა სდგანანო“.

როგორ მოგწონთ ეს ხელისხელ საგოგმანებელი მარგალიტი კორესპონდენტის მსჯელობისა და აზროვნობისა. კორესპონდენტის აზრით, კავკასიაში მცხოვრებელნი გონების განვითარების მხრივ გაცილებით მაღლა იდგებიან, ჩვენში რომ ხშირი იყოს მოტყუება-პლუტობა (мошенничество). ამიერიდგან ჩაჭდეული გვქონდეს გონებაში, რომ გაზ. „Новое Время“-ს ტფილისელმა კორესპონდენტმა აღმოაჩინა უტყუარი საწყაო ერის გონების მხრივ განვითარების ავკარგიანობის გასაზომად; ამიერიდგან უნდა ვიცოდეთ, რომ რომელ ერშიაც უფრო ხშირია „мошенничество“, ის ერია ყველაზედ განვითარებული გონებით და განათლებული.

აი ასეთს კაცს უკისრნია გარდაწყვეტა ისეთის ძნელისა და მრავალ მხრივ მოსაფიქრებელის საგნისა, როგორიც კავკასიაში იარაღის ტარების აღკრძალვაა; აი ასეთი კაცი იჩენს გულ-შემატკივრობას ჩვენსას, რომ კავკასიის მკვიდრნი გონების განვითარების მხრივ ძალიან დაბლა სდგანან და ჭნატრობს, კარგი იქნება „мошенничество“ იყოს გავრცელებულიო.

რა გვეთქმის იმის მეტი, რომ ღმერთო, გვაშორე ამ გვარი მსაჯულები და გულ-შემატკივარნი!..

ფარნაოზი

# ახალი ამბავი

*** 15 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრება მოისმენს საზოგადოების წევრის ა. ა. პავლოვსკის (მკურნალ-ფსიხიატრის) რეფერატს: „დავიდარაბის მოყვარულობისაგან წარმომდგარი ჭკვა-შეშლილობა“ და საზოგადოებისავე წევრის მ. ო. გრუზენბერგის მოხსენებას იმის შესახებ, აქვს თუ არა უფლება პროკურორს პროტესტი გამოაცხადოს, თუ სასამართლო შუამდგომლობს მსჯავრ-დადებულის შეწყალებისათვის.

კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** აქამდე შორაპნის რკინის გზის სადგურზედ არ იღებდნენ გასაგზავნად არავითარს საქონელს; არც რომელისამე სხვა სადგურიდგან შეიძლებოდა იქ გაგზავნა რისამე. ახლა-კი რკინის გზის მთავრობას ნება დაურთავს, რომ ყოველ-გვარი საქონელი მიიღონ ხოლმე ამ სადგურზედ გასაგზავნადაც და მისაღებადაც ადრესატების მიერ.

*** რკინის გზის მოხელეთათვის განზრახულია დაარსდეს საპენსიო კასსა. ხოლო ვიდრე ეს კასსა დაარსდებოდეს, შედგენილ და დამტკიცებულ იქმნა წესები იმისი, რომ დროებით მოხელეებს ერიცხებოდეთ ჯამაგირიდგან 6% ყოველ თვე და თვე და 6% კიდევ პირველად მთელის წლის ჯამაგირისა უნდა გადაიხადოს მოხელემ. ეს 6%-ი შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც იქმნას გადახდილი. ეს დროებითი წესები შემოღებულ იქმნა ამ წლის 1 იანვრიდგან. წესები დაბეჭდილია და რკინის გზის ყველა მოხელეს დაურიგდა.

*** წარსულის წლის განმავლობაში ბაქოდგან წასულა სულ 117,085 ვაგონი, შარშანწინდელ, ე. ი. 1892 წელზედ 8,299 ვაგონით მეტი.

*** ახალ-სენაკი: ამ თვის პირველს ღამე ჩვენს დაბაში დუქანი გაუტეხეს ქურდებმა ერთს აქაურს მოვაჭრეს მ. მი—ლს. მი—ლი სადღესასწაულოდ თავის სოფელში წასულა და დუქნისთვის კლიტე დაუვია. ქურდები პირდაპირ წინა კარებიდგან შესულან დუქანში. მერე სანთელი აუნთიათ და ფულის კასსა და, რაც მოსწონებიათ, გაუტანიათ. კასსა დამტვრეული გარედ იპოვნეს; კასსაში რამდენიმე თუმანი ყოფილა. წაღებული თხუთმეტ თუმანზე მეტი ჰღირს. ქურდები ჯერჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

*** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): წარსულ თთვის უკანასკნელს რიცხვებში ჩვენს სოფელში ერთი არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა, გვარად ხ—ამ, თავისს ახალ ჯვარ-დაწერილს ცოლს რევოლვერი ესროლა. ტყვია ქალს მკლავში მოხვდა და მსუბუქად არის დაშავებული. მიზეზად სხვა-და-სხვა გარემოებას ასახელებენ. ნამდვილად-კი არავინ არა იცის-რა. მკვლელი სადღაც გადაიკარგა. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა): 30 დეკემბერს ჩვენს სოფელში ერთი ახალგაზდა ქალი მოიტაცეს. თუმცა მომტაცებელს ქალის მშობლები უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ ათვალწუნებულმა სიძემ იწყინა ესა და თავისი წადილი კიდეც აღასრულა. მაგრამ ვაი ამისთანა აღსრულებას. სიძე და „ციცა“ პოლიციას გადასცეს, რის გამოც გამოძიებაა დანიშნული.

დღესასწაულებმა ჩვენში უფეროლად ჩაიარა. მიზეზი ამისა, როგორც მოგეხსენებათ, სიმინდის ფასის დაწევაა, რომელიც ჩვენში ერთად-ერთი სახსარია ცხოვრებისა.

იანვრის 4—5 თოვლი მოვიდა და საკმაოდ დაჰფარა დედამიწა. ცუდის ამინდების წყალობით სოფლებში გახშირდა სურდო-ხველა, ჭვალი და ანთება.

*** დ. ცხინვალი: ცხინვალს ახლო სოფ. ქურთაში მცხოვრებს თავ. სოსიკო ბორტიშვილ-მაჩაბელს ვერაფერი ახალი წელიწადი გაუთენდა. ახალ წელიწად ღამეს, ჯერ ათი საათი არ იქნებოდა, რომ უცებ მარანსა და ბოსელს ოთხკუთხივ ცეცხლი გაუჩნდა. როგორც ამბობენ, ცეცხლი ძალად უნდა იყოს მოკიდებული. სამწუხაროა ს. მაჩაბლის მდგომარეობა: თვით ავადმყოფის ჯანის კაცია და წვრილ-შვილი სულ ულუკმა-პუროდ დარჩა. დაეწვა ხორბალი, ფქვილი, სხვა-და-სხვა ავეჯი, რაც-კი მარანსა და ბოსელში ჰქონდა, და საქონელი. თუმცა გამოჩნდნენ ისეთი მადლიანები, რომელთაც ცოტაოდენის ხორბლით შემწეობა მისცეს, მაგრამ, საუბედუროდ, გარშემო წისქვილები სულ დაყინულია და, მანამდის დაფქვამდეს სადმე, უნდა აქა-იქ გამომცხვარი პური მოითხოვოს. გარდა ამისა, ერთი შვილი ჰყავს, წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელში და, რაკი პური დაეწვა, ეხლა აღარ იცის, იქ წარსადგენი 42 მან. საიდგან და ან როგორ იშოვნოს, რომ შვილი არ გამოურიცხონ სასწავლებლიდგან და უსწავლელი არ დარჩეს.

*** გორი: ტფილისის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენი, რომლითაც ალ. შაიშმელოვი დამნაშავედ იცნო იმ ბრალდებაში, რომ შაიშმელოვმა გორის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე შეურაცხ-ჰყო სამსახურის აღსრულების დროსა და ამისათვის მიესაჯა 3 თვით და 20 დღით დაპატიმრება.

*** გაზ. „ყარსის“ სიტყვით, ყაგიზმანის ოლქის ბერძენთა სოფელ ივანპოლში შემდეგი ამბავი მომხდარა: ამ სოფელში მცხოვრები ოსმალეთის ქვეშევრდომი ივანე ევტივულიევი დაუკლავს ამავე სოფლის მცხოვრებელს ადამ თორნიკოვს იმ მიზეზით, რომ ვითომ ჯადოქრობით ჩემი ცოლი გარყვნა და უზნეოდ გარდააქციაო. ევტუვულიევი 5 წელიწადი სცხოვრობდა თურმე ამ სოფელში და სახელი ჰქონდა გავარდნილი ჯადოქარისა. ქალსა და კაცს ვითომ შელოცვითა და ჯადოთი შეაყვარებდა ერთმანეთს, ექიმობა იცოდა, მკითხაობა და სხ. მოკლულის სკივრში ბლომად იპოვნეს სხვა-და-სხვა ფერის თმა, ქალის თეთრეულის ნაჭრები, ქაღალდის ნახევები, რომლებზედაც ჯვრები იყო დასმული და რაღაცა გაუგებარი ნიშნები და სხ. ამ რამდენისამე თვის წინად ადამ თორნიკოვი ცოლითურთ თავისის ძმის ქორწილში იყო თურმე და აქ ყური მოჰკრა ორის თავის მეზობლის ლაპარაკს თავის ცოლის უზნეო ყოფა-ქცევის შესახებ. ამ დღიდგან დაიწყო იჭვიანობა, სცემდა ცოლსა, გამომიტყდი, ვისზედ გამცვალე, როდის მიღალატეო, მაგრამ ვერ გამოსტეხა. დარწმუნებული იყო, რომ ჩემს ცოლს ივანე ევტივულიევი გაუკეთებდა ჯადოსაო, და ამიტომ ეს ჯადოქარი აჰკუწა ხანჯლით.

*** კავკავი: დიდი მადლობელია აქაური სომხობა თელავის მოქალაქის ბ-ნის ნერსეს არტემის ძის ტერ-არუთინოვისა, რომელმაც თავის ხარჯით გაჰმართა აქ თერგზე იორდანე. სამღვდელოებამ წყალი აკურთხა და ამ ცერემონიამ დიდი ყურადღება მიიქცია აქაურის რუსობისა, რომელიც გულ-მოდგინედ აკვირდებოდა სომხურ წესს წყალ-კურთხევისას, სამღვდელოების შესამოსსა და გალობას.

*** ბაქო: შარშანდელის წლის მაგალითით, აქაური ქართველობა წელსაც აპირებს საღამოს გამართვას. საღამო დანიშნულია 22 იანვრისათვის. აზრად აქვთ, რომ შემოსავალი გადასდონ იაფის სასადილოებისათვის.

---

თველი მაჰმადიანები არ მოსწონთ, მესხები ბლაყვები არიანო. ქართველი ქრისტიანნი-კი ძალიან უყვართ. მესხებიც, რასაკვირველია, სამაგიეროს უხდიან აჭარლებს. „ფხუკიანები“ არიან აჭარლებიო. აი ერთმა შეგნებულმა აჭარელმა რა მითხრა: ჩვენა, ბატონო, იმიტომ არ გვიყვარს მესხები, რომ ადრე ჩვენს მხარეს ოსმალოს თათრები დაეცნენ და ძალით ხალხს ათათრებდნენო. მაშინ ჩვენ და მესხები ქრისტიანები ვიყავით, ძლიერ ვიბრძოდით სარწმუნოების გულისათვის და 16 ათასი არაბი დავხოცეთ ომში. მესხებმა-კი მიიღეს მაჰმადიანობა და თავზე სარული (ჩალმა) მოიხვიეს. ჩვენ-კი არც ტანისამოსი შევიცვალეთ და არც დედა-ენა დავივიწყეთო. ალბად ეს არის მიზეზი, რომ ერთხელვე დარჩენილა აჭარელთა და მესხებ შორის უნდობლობა და თითქმის სიძულილი.

სხვა-და-სხვა ჩვეულებათა შორის ქვაბლიანში უფრო საყურადღებო ჭიაკოკოლაა; საყურადღებოა იმითი, რომ საქართველოს ხალხმა თითქმის ყველგან იცის ეს ჩვეულება. დიდ ხუთშაბათს მთელი ქვაბლიანელები, ქრისტიანნი თუ მაჰმადიანნი, ცეცხლს დაანთებენ, ისე რომ მთელი სოფლები გაჩირაღდნებულია ჭიაკოკოლებით; ბავშვები ხტებიან ამ ცეცხლზედ და გააქვთ ჟრიამული. იმათის აზრით, დიდხუთშაბათს ღამეს, რაც კუდიანები არიან, ჯაზის ტბაზე იყრიან თავს და ყველა კუდიანნი თავიანთ მთავარს კბილებში ქვებს ესვრიან (ჯაზის ტბა ქვაბლიანის ჩრდილოეთით არის, ერთ მთის ძირში).

მეორე ჩვეულებაა „ჭოჭონაკობა“. დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში ქრისტიანენი, მომეტებულ ნაწილად ახალგაზდა ბიჭები, სოფელ-სოფელ დადიან ღამ-ღამობით და კვერცხებს ჰკრეფენ სააღდგომოდ. ბიჭებს კვერცხის საკრეფად თოკ-მობმული კალათა აქვთ, რომელსაც ბუხრიდგან ჩაჰკიდებენ ოთახში და ჩასძახებენ: „ჭოჭია ნაკი-ნაკი, ბურბუთახი-თახი; ალათასა ბალათასა, ჩამოვკიდამ კალათასა; ადე, ძალო, კვერცხი ჩასდე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“. ეს ჩვეულება ქართლშიაც იციან და „ჭოონაზედ“ სიარულს ეძახიან. მთელი ქვაბლიანელი მაჰმადიანნი, ქრისტიანებთან ერთად, წითელ პარასკევს წითლად ჰღებავენ კვერცხებს.

არა მგონია, მთელს საქართველოში იმდენი ძველი ციხე-საყდრები იყოს, რამდენიც ქვაბლიანშია და საზოგადოდ ახალციხის მაზრაში. ყველაზედ შესანიშნავია ზარზმისა და ჭულების ეკკლესია. აი ზარზმის ეკკლესიის აშენების შესახებ რა გარდმოცემა არის ხალხში დაშთენილი: ზარზმიდგან 15 ვერსის მანძილზედ ქვის სატეხია, რომელიც შავთი-წვერის მთასთან მდებარეობს; ამ ქვის სატეხთან მდგარა შეგირდი და ზარზმაში—ოსტატი; ზარზმიდგან ქვის სატეხამდე ხალხი მდგარა მწკრივად და ერთმანეთისათვის ქვა უწოდებიათ. როცა ეკკლესია დამთავრებულა, შეგირდს უთქვამს, ეს ერთი ქვაც დასჭირდებაო; მართლაც, ერთი ქვაც სამრეკლოს დამთავრებას დაჰკლებია. ოსტატს შეჰშურებია შეგირდის შორს გამჭვრეტელობა, დაუბარებია შეგირდი და უთქვამს, ეგ ერთი ქვა სამრეკლოზე შენ დასდეო. შეგირდს შეუსრულებია ოსტატის ბრძანება. როცა შეგირდი სამრეკლოზედ ყოფილა, ქვეიდგან კიბე გამოუცლიათ და შეგირდი ზედ დარჩენილა. მაშინ უთქვამს შეგირდს, ოღონდ ორი ფიცარი და ხელეჩო მომაწოდეთ და თქვენი სხვა არაფერი მინდაო. შეგირდის თხოვნაც შეუსრულებიათ. შეგირდს გაუკეთებია ფრთები, ჩამოფრენილა სამრეკლოდგან და ჭულების ეკკლესია აუგია.

ქართველ-მაჰმადიანნი ყველა ძველს შენობას: ეკკლესიებს, ციხეებს, კოშკებს, ხიდებს თამარ მეფეს აწერენ, მისი აშენებულიაო, და ბევრი ლეგენდალური გარდმოცემაც იციან თამარ მეფის შესახებ. აი, სხვათა შორის, ერთი ამისთანა ლეგენდა: თამარ მეფე პატარაობისასვე ძლიერ გულ-კეთილი ყოფილა. ერთხელ მიუყვანიათ მასთან ფეხ-მოტეხილი ლაკლაკი. თამარ მეფეს თავის ხელით შეუხვევია მოტეხილი ფეხი ფრინველისთვის და, როცა მოურჩენია, თავისუფლება მიუცია და გაუფრენია. სწორედ წლის თავზედ ის ფეხ-მოტეხილი ლაკლაკი მოფრენილა პირდაპირ თამარ მეფის სასახლესთან და თან მოუტანია პატარა პარკი, სავსე ძვირფასის თვალ-მარგალიტით. თამარს ეს თვალ-მარგალიტი ფულად უქცევია, გაუმრავლებია ჯარი და ყიზილბაშებისათვის ომი გამოუცხადებია. ომში ყიზილბაშები საშინლად დაუმარცხებია შაბანებელის მთებზედ და იმათის თავებით მთის წვერი შემოუსირავებია. იმ მთას დარქმევია „ქალათაფა“. შაბანებელის მთები ახალციხიდამ სამხრეთად მდებარეობს 12—14 ვერსის მანძილზედ. აი ამ მთებში ერთს დღესაც ჰქვიან ქალათაფა.

ასევე საინტერესოა ზოგი-ერთ ქართველ-მაჰმადიანთა თქმულება საქართველოს სივრცეზედ: მთელ საქართველოში უწინ 10 საფაშალიყო (საერისთავო) იყოო. საქართველო გაჭიმული იყო შავის ზღვიდგან თეთრ ზღვამდე. ამ ქვეყანაში ირიცხებოდა 50 ქალაქი. ყველაზედ დიდ ქალაქად ახალციხე და ტფილისი ითვლებოდა. თამარ მეფეს სამუდამო ბინა ახალციხეში ჰქონიაო. ეს თქმულება გავიგონე 78 წლის მოხუცის ჰუსეინ ადოლაშვილისაგან ქვაბლიანში.

აქაურნი ქართველ-მაჰმადიანნი საზოგადოდ წარმოსადეგნი, ზრდილნი, დინჯად მოლაპარაკენი, პურადნი და გულოვანნი არიან.

ი. ბარკალა—ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“

*** სოფ. ჩოჰეთი (ოზურგეთის მაზრა): აქ ერთს გლეხს სიმთვრალეში თავისი ძმა შემოაკვდა. საქმე ასე იყო: უმცროსი ძმა ჯარის-კაცად იყო და ამ დღესასწაულებში შინ მოვიდა უფროს ძმასთან. ნათლის ღება დღეს ვახშმად სტუმრები მოუწვევიათ; მეორე დღეს დილით ჯარის-კაცი სამსახურში უნდა წასულიყო. როცა კარგად შეღვინიანდნენ, ძმებს რაღაც ჩხუბი მოუვიდათ: უმცროსმა ძმამ იძრო ხანჯალი და გაექანა უფროსის ძმის შემოსაკრავად, მაგრამ ამ დროს უფროსმა თოფი ესროლა და შიგ გულში მოარტყა უმცროსს, რომელმაც იქავე დალია სული

*** შაბათს, 8 იანვარს, საღამოს 9 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ პოლსკის ძეხვის დუქანში ამ დუქნის მოსამსახურემ ივანე გოლმა რევოლვერი დაირტყა მარჯვენა საფეთქელში და თავი მოიკლა. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არ არის გამოკვლეული.

*** ხუთშაბათს, 6 იანვარს, დილის 10 საათზედ, სურბ-კარაპეტის ხევში პოლიციამ იპოვნა უსულო გვამი უცნობის კაცისა, ჩოხა ჩაცმული. გვამი მჯდომარე იყო და არავითარი ნიშანი არა ჰქონდა ძალად მკვლელობისა. ბევრს აჩვენეს ეს გვამი მისის ვინაობის გამოსარკვევად; სხვათა შორის ერთმა მნახველთაგანმა, ტფილისის მოქალაქემ მიხეილ გრიგოლის ძემ ალავერდოვმა განაცხადა, რომ მკვდარი ჩემი დეიდაშვილია, ტფილისის მცხოვრებელი, იოსებ სოლომონის ძე სომხიევიო. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაიგზავნა.

## დამაკვირდი

სიცრუეს ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ შეჰხვდები; ჭეშმარიტებას-კი ძებნა უნდა.

პიერემონტი

**

ყოველი ადამიანი თავისის ბედ-იღბლის მჭედელია.

სალუსტი

**

რაც აღვირია ცხენისათვის, რაც ლაგამია სასედრისათვის, იგივეა სინიდისი ბოროტის ხასიათის კაცისათვის.

არაბული ანდაზა

## წლიური კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა.

კრება დაიწყო კვირას, 9 იანვარს, 12 საათზედ და სულ 28 წევრი დაესწრო. რადგან საზოგადოების თავმჯდომარე თ. ი. ჭავჭავაძე არ იყო კრებაზედ უქეიფობის გამო, თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი ნ. ცხვედაძე.

თავჯდომარეს მაგიერმა თავდაპირველად კრებას მოახსენა გარდაცვალება ალ. ყაზბეგისა და განმარტა რა იმისი მნიშვნელობა წერა-კითხვის გავრცელების საქმეში, სთხოვა კრებას, რომ პატივი ეცათ განსვენებულისათვის ფეხზე წამოდგომით. პატივის ცემის ნიშნად წევრნი და დამსწრენი ფეხზედ წამოდგნენ. ასევე სცეს პატივი წლის განმავლობაში გარდაცვალებულ საზოგადოების წევრთ.

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარის მაგიერმა მოახსენა კრებას, რომ შარშანდელ კრებისაგან არჩეული იყო სარევიზიო კომისია შესამოწმებლად $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშისა. ამ კომისიამ მოახდინა რევიზია და თავისი მოხსენება მხოლოდ ეხლა, ამ საათში წარმოადგინაო. რადგან გამგეობას არ გაუსინჯავს ეს მოხსენება, ამიტომ შეუძლებელია მისი წაკითხვაო. სარევიზიო კომისიის ერთმა წევრთაგანმა, ბ-ნმა რცხილაძემ, სთხოვა, რომ უთუოდ წაკითხულიყო ეხლავე, მაგრამ კრებამ გარდასწყვიტა, ჯერ გამგეობამ განიხილოს მოხსენება და მერე წარმოუდგინოს საგანგებოდ მოწვეულს კრებასაო. გადასწყდა ამისათვის საგანგებო კრება დანიშნულ იყოს არა უგვიანეს ამავე წლის პირველ მარტისა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ოქმი წარსულის წლის საზოგადო კრებისა. თავმჯდომარემ ჰკითხა კრებას, გნებავთ თუ არა, რომ საზოგადოების მოქმედების ანგარიში წაკითხულ იქმნასო? რადგან ყველა წევრსა ჰქონდა წინდაწინ წაკითხული, კრებამ არ ისურვა მისი ხელ-მეორედ მოსმენა და პირდაპირ განხილვას შეუდგა. ბ-მა ჭრელაშვილმა კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რა-კი სოფლების სასკოლო ფული საზოგადოებას აღარ ეძლევა და დირექცია აძლევს ჯამაგირს მასწავლებლებს, ამიტომ მასწავლებლები ცუდს მდგომარეობაში იმყოფებიან, თავ-თავის დროზედ ვეღარ იღებენ დირექციისაგან ჯამაგირსაო. იმის აზრით, საზოგადოებამ უნდა აძლიოს სკოლის მასწავლებლებს ჯამაგირი და მერე დაიბრუნოს დირექციისაგან, როდესაც სოფელი შეიტანს სასკოლო გარდასახადსაო, თავმჯდომარეს მაგიერმა უპასუხა ბ-ნ ჭრელაშვილს, რომ მართალია, მასწავლებლებს ახალის ცვლილების გამო თავ-თავის დროზედ აღარ ეძლევათ ჯამაგირი დირექციისაგან, მაგრამ საზოგადოებამ თითონ რომ აძლიოს სოფლის მაგიერ, დახარჯულის ფულის დაბრუნება გაჭირდებაო.

თ. ი. მაჩაბელმა ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა საზოგადოებამ გამოიკვლიოს, რა უძლეველი გარემოებანი უშლიან ხელს გამგეობას ახალის სკოლების დაარსებასაო; უნდა შეექიდოს ამ გარემოებას, იქმნება შეიძლებოდეს იმისი აცილებაო. ამიტომ საჭიროა არჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს, რომ გამოიძიოს და გამოიკვლიოს ეს საგანი და თავისი მოხსენება წარმოგვიდგინოსთ მომავალ საგანგებო კრებისათვისაო. კრებამ მიიღო მაჩაბლის აზრი და აირჩია კომისია ხუთის კაცისაგან. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ნ. ცხვედაძე, ალ. ჭიჭინაძე, თ. აკაკი წერეთელი, გაბრ. საყვარელიძე და ალ. ყიფშიძე.

ამას შემდეგ ანგარიშის შესახებ აღარა თქმულა-რა და კრების მიერ დამტკიცებულ იქმნა საზოგადოების ანგარიში.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ წაკითხულ იქმნა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის $18^{93}/_{94}$ წლის შემოსავალ-გასავლისა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი უდრის 8 475 მან., ხოლო გასავალი 8 720 მ. ამასთან თავმჯდომარეს მაგიერმა მოახსენა კრებას, რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვის შემდეგ გამგეობამ საჭიროდა სცნო მდივნის თანაშემწისთვის ჯამაგირი მიემატებინა 60 მ., ასე რომ მომავალის წლის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთ-აღრიცხვაში გასავალი სჭარბობს შემოსავალს 295 მანეთითაო. ბ-ნმა ს. ჭრელაშვილმა შენიშნა; გამგეობას კარგი უქნია, რომ მდივნის თანაშემწისათვის ჯამაგირი მოუმატებიაო, მაგრამ ეგ მაინც ცოტააო. მდივანსაც და იმის თანაშემწესაც ძალიან ცოტა ეძლევათ, ამიტომ კარგი იქმნება, რომ საზოგადოებამ იმათ დაუთმოს სრული მოგება კომისიით გასასყიდად აღებულ წიგნებისაო—300 მან. ამ მოგებაში მხოლოდ მაგათ მიუძღვით შრომა და ამიტომ მაგათვე უნდა მიეცეთო. თავმჯდომარის მაგიერმა უპასუხა, რომ მართალია, მდივანი და მისი თანაშემწეც ღირსნი არიან, რომ ეგ მოგება მივცეთო, მაგრამ წელს საზოგადოებას დიდი ხარჯი მოელის, მაგ ფულს ვერ შეელევა და ამიტომ წრეულს უწინდელისავე ჯამაგირით იყვნენ დატოვებულნიო. ბ-ნმა ჭრელაშვილმა სთქვა, რომ იმ შემთხვევაში მაინც მიეცეთ ეგ ფული, თუ საზოგადოების შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯსაო. თ. ი. მაჩაბელმა დასძინა, არც საანგარიშო წელიწადში ჰქონია ხარჯი შემოსავალზედ მეტი საზოგადოებას, რადგან ფული, მართალია, დაიხარჯა, მაგრამ საზოგადოებას იმის ნაცვლად სკოლის შენობა შეეძინაო. მომავალის წლის შემოსავლის გასაძლიერებლად ისე უნდა მოეწყოს საწევრო ფულის მოგროვება, რომ ბევრი შემოუვიდეს საზოგადოებას საწევრო ფულიო. ამისათვის კარგი იქმნება საწევრო ფულის წვრილ-წვრილად, თვიურად გამორთმევა, და ასე შეკრება ფულისა მიენდოს ცალკე დანიშნულს აგენტებსაო.

კრებამ დაამტკიცა შესავალ-გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და დაადგინა, რომ შემდეგს წლიურს კრებაზედ გამგეობამ წარმოუდგინოს საზოგადოებას თავისი მოხსენება მდივნისა და იმის თანაშემწის დაჯილდოების შესახებ, თუ შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯსაო. მერე წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ კრებას მიეცა შესაწევრად ათი თუმანი მალალაშვილის ქალისათვის, რომელმაც ათის წლის სამსახურის შემდეგ წინარეხის სკოლაში თავი დაანება მასწავლებლობას თვალების ტკივილის გამო. კრებამ გადასწყვიტა, მიეცეს ათი თუმანი მალალაშვილის ქალს მოულოდნელის ხარჯის ანგარიშიდგანაო.

დასასრულ გამგეობის ხაზინადარმა დ. ფავლენიშვილმა განაცხადა, რომ კარგი იქმნება, საზოგადოებამ ეხლავე ამოირჩიოს კომისია მიმდინარე წლის ანგარიშის შესამოწმებლად, რაიცა მომავალს საზოგადო კრებას წარუდგინოს შესამოწმებლადაო. კრებამ დაადგინა, ეს კომისია ამორჩეულ იქმნას მომავალს საგანგებო კრებაზედაო.

## შემოწირულობა

### I

ამასთანავე გიგზავნით შოთა რუსთაველისა და ალექსანდრე ყაზბეგის ფონდებისათვის მოსახმარებლად ჩემ მიერ შეკრებილს 34 მანათ ფულს და სიას შემომწირველებისას. გთხოვთ გადასცეთ კუთვნილებისამებრ მოსახმარებლად—შვიდმეტ-შვიდმეტი მანათი.

გაბრიელ მოსეს ძემ ბედოშვილმა 3., მამასახლისმა სიმონ თადის ძემ მალსაგოვმა 1 მ., სიმონ გლახას ძემ ბულაშვილმა 1., გაბო მოსეს ძემ ხულელიძემ 30 კ., პავლე გიორგის ძემ ღუდუშაურმა 1 მ., იაგორ იაგორის ძემ ღუდუშაურმა 1 მ., ალექსანდრე ლევანის ძემ ავსაჯანიშვილმა 1 მ. 50 კ., სიონის მღვდელმა ზაქარია კობაიძემ 1 მ. 50 კ., სიონის მღვდელმა გიორგი სირაძემ 1 მ., ლევან გრიგოლის ძემ ავსაჯანიშვილმა 1 მ., შიო ნანიკას ძემ კობაიძემ 1 მ., ნიკოლოზ კახიშვილმა 50 კ., დავით ი. ლაზრევმა 40 კ.. იობა გრიგოლის ძემ ღუდუშაურმა 1 მ., სტეფან-წმინდის მღვდელმა პანკრატი ბარნაბოვმა 50 კ., მთავარ-დიაკონმა სტეფანე ღუდუშაურმა 50 კ., არტემ აკოფას ძემ ოჰანეზოვმა 1 მ.. ნიკო გ. ბედოშვილმა 50 კ., იაგორ მოკლიას ძემ ავსაჯანიშვილმა 1 მ., გაბრიელ ვასილის ძემ ასლანოვმა 1 მ., იოსებ პეტრეს ძემ დავითაშვილმა 1 მ., ბაღდან დავითის ძემ სომხიევმა 1 მ., ალექსი დიდებაშვილმა 1 მ.‘ კონსტანტინე მიხეილის ძემ კაიშაურმა 1 მ., ივანე იაგორის ძემ ხეთაგურმა 1 მ., გიორგი გიორგის ძემ სუჯაშვილმა 1 მ., დიმიტრი შავთვალაშვილმა 1 მ., ივანე დოლმაზის ძემ ბეგნაზაროვმა 20 კ., ნიკო იოსების ძემ ყაზაროვმა 50 კ., დიმიტრი ს. ცაბოლიშვილმა 1 მ. 50 კ., გრიგოლ იოსების ძემ დავითაშვილმა 1 მ., ფიდო არჯინაშვილმა 20 კ, მიხეილ ი. ქუმსიშვილმა 30 კ., ალექსი ქეთოშვილმა 60 კ., ვლადიმერ ალექსის ძემ მისოსტოვმა 2 მ., ხასაყო ბედოშვილმა 60 კ., ივანე გ. კობიაშვილმა 20 კ. და იაგორ გიორგის ძემ ჩქარიულმა 20 კ., სულ 34 მან.

გაბრიელ ბედოშვილი

ხევი

### II

ამასთანავე გახლებთ სამს მანეთს და გთხოვთ გარდასცეთ შესაწევნელად გრიგოროვის ქვრივს, ნინო ლორთქიფანიძის ასულს.

ქვრივი სოფიო მიქელაძისა.

ქუთაისი.

## მსოფლიო გამოფენა ბელგიის ქალაქ ანვერში (ანტვერპენში)

ბელგია თუმცა ევროპიის სხვა სახელმწიფოებზედ პატარაა, მაგრამ სწავლითა დ განათლებით ბევრ სხვაზედ გაცილებით მაღლა სდგას, მეტადრე ინჟინერობის ხელოვნებით. ბელგიელებიც ფრანგულად ლაპარაკობენ, როგორც იმათი მეზობელი ფრანგები.

ამ 1894 წ. მაისში ანვერში გაიმართება მსოფლიო გამოფენა. წარსულ წლებში ასეთი გამოფენა გამართული იყო: 1889 წ. პარიზში საფრანგეთში, შარშან ამერიკის ქალაქს ჩიკაგოში. ასეთი გამოფენა საზოგადოდ ექვს თვეს გასტანს ხოლმე. თითო გამოფენაზედ ორთა-შუა რიცხვით სამას ათას სულამდე ხალხი დაიარება დღეში და სინჯავს და ათვალიერებს ყოველსავე, რაც-კი გამოფენილია.

აქედგან ადვილად წარმოსადგენია, რა ვაჭრობა უნდა დატრიალდეს იმ ნაწარმოებისა, რომელიც იქ იქნება გამოფენილი მამულის პატრონებისაგან, ანუ თვით მექარხნეებისაგან. ამისათვის ყოველმა გონიერმა და შორს-მხედველმა ადამიანმა, ვინც უნდა იყოს, ქარხნისა თუ მამულის პატრონი, რაც უნდა შორს სცხოვრობდეს, ცხადია, ყოველივე ღონის-ძიება უნდა იხმაროს რომ თავისი ნაწარმოები ამისთანა გამოფენაზედ გაიტანოს, ან გაჰგზავნოს იმ ქვეყნის მცოდნე კაცის შემწეობით.

საქართველოში, შავის ზღვიდგან დაწყებული კასპიის ზღვამდე, სამ მილიონამდე ქართველია და, როგორც მცხოვრებთა რიცხვით, ისე სივრცით და ბუნების სიმდიდრით ამ ქვეყანას ღირსეული ადგილი უნდა ეჭიროს ევროპის პატარა ერთა შორის, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდლამდის ძალიან ნაკლებად გვიცნობენ ევროპიელები. ამოდენა ჩვენის დედამიწის მოსავალი, საქონელი და ნაწარმოები თვალ გადუწვდენელ მთისა და ბარისა, სხვა და სხვა შუამავლების ხელში ვარდება, და, თუ მიდის ევროპაში, იქ უჩვენოდ საღდება და ჩვენ-კი ამ კომისიონერებისაგან ვაი-ვაგლახით ნახევარ ფასს ძლივს ვიღებთ. ევროპის ყოველი მამულის პატრონი ჰგზავნის თავისი ყოველგვარ ნაწარმოებს გამოფენაზედ, სადაც თავს იყრიან, მთელის ქვეყნის მწარმოებელთა და მამულის პატრონთა გარდა, აგრეძვე სხვა-და-სხვა ქონების პატრონებიცა, რომელნიც ხმარობენ დედამიწის ნაწარმოებსა, მოსავალსა და სხვა.—აქ შეხვდებიან ერთი-ერმანერთსა მამულის პატრონი, რომელსაც მოჰყავს ყოველ გვარი მოსავალი, და მხმარებელი ანუ ამ მოსავლის გამომყენებელი მექარხნე, რომელსაც მუდამ უჭირს ეს ნაწარმოები. ესენი პირდაპირ ევაჭრებიან ერთმანერთს და ყოველს გვარს საქმეს იჭერენ ურთიერთშორის და, რასაკვირველია, ერთს იაფად უჯდება ნასყიდი, ხოლო მეორე პირიანად ჰყიდის თავის საქონელს. რაც სხვა კომისიონერებისა და დალალების ხელში ფული გადადიოდა, ის ერთსაც და მეორესაც ჯიბეში რჩებათ.

ამას გარდა, გამოფენას სხვა სარგებლობაც მოსდევს. ჩვენის ნაწარმოების გასაღების გარდა, ჩვენ უნდა ვსცდილობდეთ, რომ ჩვენს ქვეყანას ყურადღება მიაქციონ ევროპიელმა ფულიანმა კაცებმა და დააარსონ ჩვენში სხვა-და-სხვა ქარხნები და ფაბრიკები ჩვენისავე დახმარებითა და შემწეობით; თუ მოხერხდება, ჩვენისავე თაოსნობით. აი, მაგალითად, დიდად სახეირო იქმნება, რომ დაარსდეს შაქრის კეთების ქარხანა, რომლისათვისაც ბევრს ჩვენგანს აქვს კარგი მიწები ჭარხლის მოსაყვანად. სახეიროვე უნდა იყოს შვეიცარიულის ყველის საკეთებელ ქარხნის გამართვა, რადგან ჩვენში საკმაოდ ბლომად არის მშვენიერი საძოვარი მთები. მრავალგან დიდად საჭიროა გაჭრა არხისა და წყალის გაყვანა; მეტადრე იქ, სადაც ასი-ათასობით ურწყავი და გამოუყენებელი მამულებია. ფულიან კაცების შემწეობით, თუ ჩვენი სურვილი და თაოსნობა იქმნება, ასეთი უდაბური ადგილები შესაძლოა აყვავდეს და ერთ ვრცელ წალკოტად გადიქცეს წყლის გაყვანის შემდეგ. ბევრგან კიდევ რკინის გზის შტოს გაყვანა, ანუ კარგის გზა-ტკეცილის გაკეთება ერთი-ათად ასწევს მამულის ფასსა. ყველა ამ საქმეების პროექტი, შედგენილი მცოდნე კაცისა და გამოცდილის ინჟენერის ხელით, უნდა იყოს გამოფენილი ანტვერპენში. იქ მყოფმა ჩვენმა წარმომადგენელმა უნდა მიაქციოს ყოველ ამისთანა საქმეს ყურადღება, უნდა მოსძებნოს კაცნი, რომელნიც ეძებენ სახეირო საქმეებს და მათთვისაც გამოსარჩომს და ჩვენის ქვეყნისთვისაც სასარგებლოს.

ცხადია ყოველისავე თქმულის შემდეგ, რომ სწორედ გვმართებს თვალები გავახილოთ და დავფაცურდეთ. მეტადრე საჭიროა ეს ქართველ მამულის პატრონთათვის. დრო არის, რომ სხვისი მზრუნველობა თავიდამ მოვიშოროთ, ავიცილოთ ჩარჩები, დალალები და კომისიონერები, რომელნიც, ვინ იცის, სადაურნი არიან და საიდამ მოსულნი ჩვენდა საყვლეფავად. განა ისეთი მსოფლიო გამოფენა, როგორიც ბელგიაში იმართება მაისში, ყოველ წელს ხომ არ არის. მაშ ვისარგებლოდ ანვერის მსოფლიო გამოფენით, მივიღოთ მონაწილეობა, ვისაც-კი რითმე შეგვიძლიან; ვაჩვენოთ ევროპას და მთელ ქვეყანას, რომ კავკასია ისეთ ველურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში არ არის, როგორც საზოგადოდ ჰგონიათ, ვაჩვენოთ რომ კავკასიაში უმთავრესი ტომი ყოფილა და დღესაც არის ქართველობა რომ საქართველოს მიწა-წყალი და აუარებელი მამულები ჯერ ისევ ჩვენს ხელშია, ჩვენა ვართ მათი პატრონები და შრომაც სხვაზე ნაკლებად არ შეგვიძლიან. ჩვენი მოსავალი, ჩვენი ბუნების სიმდიდრე ისეთია, რომ შეგვიძლია თავი მოვიწონოთ და ვაცოდინოთ ყველას, რაცა გვაქვს. ხოლო ჩვენ გვაქვს უმთავრესად: დიდ-ძალი სიმინდი გურიასა და სამეგრელოში, თითქმის 6 მილიონამდე ყოველ წლივ; გვაქვს დიდ-ძალი და ძვირფასი ტყეები, საცა აუარებელი ხის მასალა შეიძლება დამზადდეს; მოგვყავს ბლომად და ძლიან ბლომადაც ღვინო, გვაქვს მშვენიერი მატყლი და მრავალი კიდევ სხვა მოსავალი. ბლომადა გვაქვს აგრეთვე მადნეულობა: თითბრისა, ვერცხლისა, ქვა-ნახშირისა, მარგანეცისა, ლიტოგრაფიის ქვისა, ბუნებრივის საღებავებისა (ფერადის მიწისა) და სხვ. ყველამ უნდა ისარგებლოს ამავე შემთხვევითა, რომ იმ მრავალმცოდნე და ფულიან ხალხში შეიძლება ბევრმა ჩვენგანმა დიდი საქმე გაირიგოს.

მე მცირე ხანს არა ვყოფილვარ საფრანგეთსა და აგრეთვე სხვა უცხო ქვეყნებში. დავესწარ აგრეთვე პარიზის მსოფლიო გამოფენას და ყურადღებით დავათვალიერე იქაურობა. ჩემის თვალით განვიცადე და დავრწმუნდი, რომ ბევრი კარგი, გამოსარჩენი საქმე შეიძლება გაკეთდეს და გარიგდეს იქ ჩვენებურ მამულის პატრონთათვის. რასაკვირველია, ეს ამბავი და გარემოება არავისთვის არ დამიმალავს და ბევრისთვის მიამბნია, რაც-კი მინახავს და გამიგონია უცხო ქვეყნებში. ეს იყო უთუოდ მიზეზი, რომ რამდენმამე ნაცნობმა და მახლობელმა ჩვენებურმა მამულის პატრონმა მთხოვა მეკისრნა გაგზავნა მათის ნაწარმოების ნიმუშებისა სამეურნეო სტატისტიკო-იურთ ბელგიის მსოფლიო გამოფენაზე. მთხოვა აგრეთვე ვიტვირთო ანვერს წასვლა და ყურის გდება მათის ექსპონატებისა, წარმოება მათის საქმეებისა.

დიდის სიამოვნებით შევასრულებ ამ თხოვნას და ვიკისრებ კიდეც, როგორც წარმომადგენლობას, ისე ქართულ განყოფილების გამგეობას ბელგიის მსოფლიო გამოფენაზე ანვერის ქალაქში, მხოლოდ საჭიროა, რომ თვით მამულის პატრონებიც ეცადნენ და დაგვეხმარონ, აწუსხონ თავიანთი მამულები და ის სიმდიდრე, რომელიც-კი მათ მამულებში მოიძებნება და ყოველივე ესე დროზე წარმომიდგინონ. რაიცა შემეხება მე, ყოველის ღონისძიებით ვეცდები ყველა ჩემს მოძმეს დახმარება გავუწიო და მათი საქმეები, რაც-კი შესაძლო იქმნება, გავარიგო ევროპის ფულიან და შეძლებულ კაცებთან. ჩემი ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 127.

რაფაელ ისარლოვი

## რუსეთი

როგორც გაზ. «Гражданинъ»-ი იუწყება, გენერალი გურკო თან-და-თან უარესადა ხდება. ტვინში სისხლი კარგად ვერ უბრუნავს. ავადმყოფი უგონოდ არის.

—

3 იანვარს პეტერბურგში დაასაფლავეს რედაქტორ-გამომცემელი გაზეთ „Недѣля“-სი პ. ა. გაიდებუროვი. დასაფლავებას ლიტერატურის დიდ-ძალი წარმომადგენელნი დაესწრნენ და აგრეთვე სენატორები ა. ფ. კონი, ნ. ს. ტაგანცევი და სხვანი. განსვენებულის შესახებ სიტყვა წარმოსთქვეს სალიტერატურო ფონდის თავმჯდომარემ ვ. ნ. სერგეევიჩმა, პ. ი. ვეინბერგმა და სხვებმა.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთში 2,000 ანარქისტს გაუჩხრიკეს სახლი. სხვათა შორის ღამე მივიდნენ ელიზე რეკლიუსთან, იმ დროს, როდესაც თავის ცოლთან ერთად იყო საწოლს ოთახში. ელიზე რეკლიუ მაშინვე თავის სამუშაო ოთახში გავიდა და დაჯდა. დაიწყეს სახლის გაჩხრეკა. საწოლ ოთახის კარებთან ჟანდარმი იდგა და სახლს გარს პოლიციელები ერტყნენ. ცოლმა ტანისამოსი ჩაიცვა, სთქვა, სახლის გასინჯვას დაესწრები, ჩემს ქმარს ნება მიეცით ტანისამოსი ჩაიცვას, რადგან ცივაო. უპასუხეს, რომ ამის ნებას ვერ მოგცემთ, თუ გსურთ, ტანისამოსი მოუტანეთ და აქავე ჩაიცვასო. სამუშაო ოთახში შესვლის ნებას მაინც ხომ დამრთავთო?—ჰკითხა რეკლიუმ, და ამის ნება დაერთო. გაჩხრიკეს მთელი სადგომი ელიზე რეკლიუსი, სამზარეულოში დაწყობილი შეშებიც-კი აშალ-დაშალეს, იმისი ქაღალდები სულ ერთიანად დაბეჭდეს და წაიღეს და იმასვე გააყოლეს მზარეულ დედაკაცის წერილები. თვით ელიზე რეკლიუ საპატიმროში წაიყვანეს და ორ საათს შემდეგ ისევე განათავისუფლეს.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** ომლადინის საქმის გარჩევის დროს სასამართლოში ვექილმა ჩერნაგორსკიმ უკმაყოფილება განაცხადა სასამართლოს დარბაზის სიმცირისა გამო. სასამართლომ ეს განცხადება არ მიიღო. სასამართლოს წინ წარსდგა შვიდი ვექილი. დეპუტატმა გეროლდმა და პოლიპინმა განაცხადეს, ჩვენს თავს ჩვენვე დავიცავთო, და დროებით თავიანთ მაგიერ ვექილები წარადგინეს. საბრალმდებელო ოქმი წაკითხულ იქმნა. მოსამართლეებმა გადასწყვიტეს, ეს საქმე საიდუმლოდ განირჩეს, გარეშეთ ნება არ მივცეთ დასწრებისა, მხოლოდ რამდენიმე რწმუნებული ამოვირჩიოთ საქმის გარჩევაზედ დასასწრებლადაო. ამორჩეულთა შორის მოჰყვა მრვის საყვარელი მილენა გეიგერტი, რომელმაც დეპუტატს გეროლდს მოკლულის დღიური გარდასცა. ბრალდებულთაგან ჩვენების ჩამორთმევის დროს აღმოჩნდა, რომ დამნაშავე ექიმი რაშინი სათადარიგო ჯარის აფიცერი ყოფილიყო. სხდომის დასასრულს დიდი ხმაურობა ასტყდა. ბრალდებული ჩიშეკი მოსამართლეთ ბრალსა სდებდა, რომ მიკერძვითა და მიდგომით იქცევითო, რადგან უმაღლესად ნაბრძანები გაქვთ აგრე მოიქცეთო. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეგ სიტყვები სრული სიცრუე და ცილის წამებააო.

## გასართობი

—

ერთხელ ჰერცოგმა ორლეანისამ ღარიბების ჯვარის-წერა ჰნახა და სთქვა:

— სიმშილი წყურვილზედ იწერს ჯვარსაო.

**

როდესაც შესანიშნავი ექიმი დიუმულენი სიკვდილის პირად იყო და გარს მწუხარე თანამოძმენი ეხვივნენ, სხვათა შორის, სთქვა:

— ბატონებო, ვკვდები და ჩემს შემდეგ სამს დიდებულს ექიმსა ვსტოვებო.

სხვა ექიმები ემუდარებოდნენ, ჩქარა დაასახელე, სამარეში არ ჩაიტანო ეგ საიდუმლოო, ასე ეგონათ, ჩვენთაგანს დაასახელებს ვისმეო.

— ეს სამი ექიმიაო, სთქვა დიუმულენმა: წყალი, ვარჯიშობა და ზომიერება.

**

ერთს შეძლებულს კაცს მოსწყინდა ქალებში დროს ტარება და ცელქობა და ცოლის შერთვა განიზრახა, რომ ბოლო მოეღო ასეთის ცხოვრებისათვის. როდესაც ისა და მისი ახლად ჯვარ-დაწერილი ცოლი ეკკლესიიდგან გამოვიდნენ, ყმაწვილმა ქალმა უთხრა:

— იმედი მაქვს, რომ ამიერიდგან ცელქობას თავს დაანებებ, შეცდომას აღარ ჩაიდენ და გონიერად მოიქცევიო.

— ნუ რა გეფიქრება-რა, ჩემო ბატონო, უპასუხა ქმარმა: ეს უკანასკნელი სისულელე იქნება, ჩემ მიერ ჩადენილიო.

## დეპეშა

8 იანვარი

**პეტერბურგი.** იმის გამო, რომ გაზეთებში გაისმა ტყუილი ხმა, ვითომ სოფლის მკვიდრთაგან ხარჯის გარდახდას შეამცირებენო, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს: უკანასკნელს წლებში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული იმ გარემოებაზედ, რომ ხარჯი სოფლის მკვიდრთ შეძლებისამებრ გარდახდოდა, რომ, ერთის მხრით, იმათ, რომელთაც ღონე და შეძლება ნებას აძლევდა ამ გარდასახადთა გარდახდისას, აუცილებლად და დაუყოვნებლად გამოერთმეოდათ ხარჯი, ხოლო, მეორეს მხრით, სასტიკად არ მოჰქცეოდნენ და დაეცდიათ, დრო და ვადა მიეცათ იმათთვის, რომელთაც შეძლება არა ჰქონდათ გარდასახადის სრულად და უკლებლად შეტანისა. შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს განზრახვა აქვთ შემდეგშიაც ამ აზრითვე იხელმძღვანელონ და ასეთივე ღონისძიებანი იხმარონ. ეს ღონისძიება იმად-კი არ იქნება შემოღებული, რომ გარდასახადთა მოკრება შეასუსტოს, არამედ იმად, რომ მკვიდრნი არ დააუძლურონ მეურნეობის მხრივ, დრო და ვადა მისცეს ხარჯის დაუზარალებლად გარდახდისა.

9 იანვარი

**პეტერბურგი** ამ ახლო ხანში სახელმწიფო საბჭოს წარედგინება საქმე იმ კრედიტისა, რომელიც სოფლის მკვიდრთ უნდა აღმოეჩინოთ მიწად-მოქმედების გასაუმჯობესებლად 1894 წ.

**პარიზი.** პალატამ სრულიად უკამათოდ დაამტკიცა 3 ოქტომბერს 1893 წ. სიამთან დასადები ხელ-შეკრულობა.

**პალერმო.** კალტანიზეტის პროვინციაში მცხოვრებლების იარაღის ასაყრელად შესულს ჯარს ხალხი ამ სიტყვებით მიეგება: „გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს ჯარს!“-ო. მასსაში ჯარი ანარქისტებს სდევნის.

**ბრიუსელი.** ლიმბურგის პროვინციას სტრუდეში რამდენიმე კაცი გარდაიცვალა ხოლერით.

10 იანვარი

**ბელგრადი.** მეფემ ალექსანდრემ თავისი მამა მოიწვია სერბიაში და ეს ამბავი სამინისტროს-კი არ აუწყა. სამინისტრომ მიართვა მეფეს სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი, რომელიც სახეში იქმნა მიღებული. მეფე მილანი ბელგრადს მოვიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,43 | 7,45 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148 1/4 | 149 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | —,, | —,, | —,, |
| 5% პირველი შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | —,, | —,, | 240 1/2 |
| —მეორისა | | —,, | 225 1/4 |
| 4% მესამე სესხისა | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | —,, | —,, | 191 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 100 3/4 | —,, | —,, |
| 5% | 98 1/2 | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 3/4 | —,, | —,, |
| 5% | 98 1/2 | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | —,, | —,, |


## განცხადებანი

„მზა-მეტყველება“

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური.

(5—4)







„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მიrიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა. . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა უ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა. . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |